



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

აბონატი

(ეულა)

1-31

№15 (324)

(5770)

2010

შპს 50 თეთრი

„მנורה“

עיתון יהודי

בגורגיה

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ



თრიოლ დღეში - 12 აგვის-
ტოს ქართველი ებრაელები
კიდევ ერთ დიზსეულ ნაბიჯს
გადადგამენ - ქ. აშლოში,
ძინაკაშვილის ქუჩაზე გაი-
სნება სრულად რესტავრ-
ირებული ბეთ ქსესეთი
„ბეთ კლიაბუ“. იგი მოს-
კოველმა ბინესქენმა როძან
შაძილაშვილმა - მოსკოვი,
„სბაროს ქსელის თანამ-
ფლობელმა, თავისი ძამის -
ილია შაძილაშვილის გარ-
დაცვალების 11 თვესთან
დაკავშირებით მის სსოვნას
მიუძღვნა.

אֲשֶׁר־הָאִישׁ אֲשֶׁר לֹא הָלַךְ בְּעֵצַת רַשָּׁעִים וּבַדְרֹךְ
חַטָּאִים לֹא עָמַד וּבְמוֹשָׁב לִצְיִים לֹא יָשָׁב: כִּי אִם-
בְּתוֹרַת יְהוָה חִפְצוֹ וּבְתוֹרָתוֹ יִהְיֶה יוֹמָם וּלְיָלַיָּה: וְהָיָה
כְּעֵץ שָׁתוּל עַל-פְּלִיגֵי מַיִם אֲשֶׁר פִּרְיוֹ יִתֵּן בְּעֵתוֹ
וְעָלְהוּ לֹא יִבּוֹל וְכֹל אֲשֶׁר-יַעֲשֶׂה יִצְלִיחַ:



საქართველოსა და ქართული სიტყვის დაუღლეი მსახური

ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ებრაელები უდიდესი მადლიერებით ისვენებენ და არ ივიწყებენ, როგორც თვითონ უყვართ თქმა, გამზრდელ, დედასავით ტკბილ საქართველოს.

მათ შორის, ვინც ჩვენი ქვეყნის წრფელი სიყვარული ტკივილიან მონატრებად აიჭანა ისრაელის წმინდა მიწაზე და იქ ქართული სიტყვის დაუღლეი მსახური გახდა, ერთ-ერთი არის ცნობილი ჟურნალისტი, ჟურნალ „აშდოდელების“ რედაქტორი სულო სეფიაშვილი (სეფი ელი).

ორ ათეულ წელზე მეტია ისრაელში, განსაკუთრებით აშდოდში, თუკი რამ ქართული სულისკვეთებით დამუხტული ღონისძიება ეწყობა, უთუოდ ბატონი სულოს სახელს უკავშირდება. გასაოცარია, მაინც როგორ ასწრებს ამდენს ეს ფუტკარით მშრომელი კაცი: გაზეთის, ჟურნალის, წიგნების გამოცემა და რედაქტირება, მათი დიზაინი და გრაფიკა, სტილი და კორექტურა, შემოქმედებითი და საიუბილეო შეხვედრები, ხსოვნის საღამოები, საქველმოქმედო აქციები, პოეზია...

სულო სეფიაშვილი 1951 წელს დაიბადა სამეგრელოს ქალაქ სენაკში. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში უმაღლესი საინჟინრო განათლება მიიღო და ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო სოხუმში, აფხაზეთის მშენებლობის სამინისტროში ინჟინერ-ექსპერტად. ქალაქის შემოქმედ ინტელიგენციასთან დაახლოებამ, პოეტთა სამხარაძე-ჯღამაძესთან მეგობრობამ, უფრო ღრმად ჩაახედა ქართველ და აფხაზ პოეტთა შემოქმედებაში. აქვე შექმნა მშვენიერი ოჯახი და 1987 წელს, მეუღლესთან და შვილებთან ერთად, საცხოვრებლად ავიდა ისტორიულ სამშობლოში - ისრაელში.

მალე იგი ქართულენოვანი გაზეთის „ალია საქართველოდან“ ჟურნალისტი გახდა. რამდენიმე თვეში კი გადაწყვიტა ამავე გაზეთის რედაქტორად. უდიდეს წარმატებას მიაღწია მის ხელში ამ პოპულარულმა გაზეთმა. ათიათასობით ქართველი ებრაელისათვის „ალია“ გახდა ინფორმაციის წყარო და სულიერი საზრდოც. რედაქტორად მუშაობის თხუთმეტი წლის განმავლობაში ბატონმა სულომ კიდევ უფრო დახვეწა და გაამრავალფეროვნა გაზეთი.

1989 წელს, ისრაელის ქართველ ებრაელ ჟურნალისტთა დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს, სულო სეფიაშვილის რამდენიმე კოლეგასთან ერთად, ისრაელ-საქართველოს შორის მეგობრული და კულტურული კავშირების განმტკიცების საქმეში დამსახურებისთვის მთავრობის ჯილდო გადასცა.

უამრავი პროექტი განხორციელდა მისი თაოსნობით: თბილისობა, ქუთაისობა, ალთქმულ მიწაზე მოღვაწე ქართველ ებრაელთა შემოქმედებითი საღამოები...

ბატონი სულო იყო პირველი მასპინძელი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისრაელში ყოფნის დროს. თითქმის ყველა მომღერალმა, მსახიობმა, ცეკვის ანსამბლმა, მწერალმა თუ პოეტმა მისი მეგზურობით გაიცნო ისრაელი.

ბატონი სულო გახლდათ ორგანიზა-



ტორი და წამყვანი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატივისცემად ქალაქ აშდოდში გამართული ხალხმრავალი ღონისძიებებისა.

უკვე რამდენიმე წელია სულო სეფიაშვილმა დააარსა და რედაქტორობს ორენოვანი, ყოველთვიურ ფერად ჟურნალს და გაზეთს „აშდოდელები“ და „აშდოდის მოამბე“. რამდენიმე წელია, რაც დაისტამბა მისი ლექსების კრებული „სიზმრის სასახლე“, სადაც პოეტი თავის ფიქრს, დარდს და იმედს პოეტური გამომსახველობით გადმოგვცემს.

სულო სეფიაშვილს არა მარტო თავისი, სხვისი სატიკვარიც სტიკვა, ჯარისკაცების, მეზობლი ბიჭების ომში დაღუპვას განიცდის, ქართული თუ ებრაული ცნობილი პოეტების, ხელოვანი ადამიანების უდროოდ წასვლაზე წუხს... წერს ქართველი ქალის კდემამოსილებაზე, საქართველოს, განსაკუთრებით სოხუმის, სენაკის, თბილისის მონატრებაზე, დედაზე, იერუმალაიმი სიღიადეზე და ა.შ. ზოგჯერ სასონარკვეთა იპყრობს, მეუღლის გარდაცვალება თრგუნავს.

„მე ვითმენ, მაგრამ დრომ არ მოითმინა,

ნაჩქარევად ჩამიარა გვერდით, ცარიელი დამიტოვა ციციქა ბინა, მოტყუების მასვა ალავერდი...“

მისი შვება მეგობრობაში, საინტერესო საქმიანობაში, სიყვარულის თესვაში, შვილების და ახლობლების მოფერებასა და პოეზიაშია:

„სიცოცხლე მოდის, სიცოცხლე მიდის, როგორც ინება ბედმა გამჩენმა და ჩვენი ხსოვნის გადასარჩენად სიყვარული და ლექსი დარჩება...“

სულო სეფიაშვილის ლექსებზე კომპოზიტორმა და მომღერალმა ალექსანდრე პელეგმა (ელიგულაშვილი), მსახიობმა და

მომღერალმა ნაზი ნანიკაშვილმა, ფელიქს ბაჩაკაშვილმა და სხვებმა შესანიშნავი სიმღერები შექმნეს. ბატონი სულო ხშირი სტუმარია ისრაელის ქართულენოვან რადიოსა და ტელევიზიაში, მასზე წერენ ადგილობრივ პრესაში. ის გახლავთ აშდოდის ქართველ ებრაელთა კულტურის ცენტრის დირექტორი, ისრაელის ქართველ ებრაელობაში მონყობილი ყველა ღონისძიების უცვლელი წამყვანი.

ხუთ წელზე მეტია, რაც სულო სეფიაშვილმა პირველმა დააარსა ორგანიზებული ტურები: ისრაელი - საქართველო, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ტურიზმის აღორძინებაში. მას კიდევ აქვს რამდენიმე საინტერესო პროექტი ამ მიმართულებით.

სულო სეფიაშვილს წლების განმავლობაში ისრაელის სცენებზე დადგმული აქვს საკმაოდ გახმაურებული სპექტაკლები: ან გარდაცვლილი ექიმისა და მწერლის სოსო სეფიაშვილის „თეთრი ვარდები უაითპარკიდან“, ნაწყვეტი რომანიდან „გაქცევა არსაიდან“, მწერალ რაია წინუაშვილის „სულის სარკმელები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, მუშაობს აბული სეფიაშვილის ჰეროიკული დრამის „თამარის“ სცენურ ხორცშესხმაზე, რომელიც რუსთაველისა და თამარ მეფის სიცოცხლის ბოლო წლებს ასახავს.

მრავალფეროვანია სულო სეფიაშვილის შემოქმედებითი საქმიანობა მის ორ სამშობლოში - ისრაელსა და საქართველოში. მისი ფიქრი და ოცნება ორი ერის კულტურულ დასახლებას დასტრიალებს და იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტად ემსახუროს ქართულ სიტყვას, ქართულ საქმეს, რომ სამომავლოდ, თაობათა ცვლამ და საუკუნეთა მდინარეებმა ვერ დაარღვიეს ის სიყვარული და მეგობრობა, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის სუფევს.

ლეილა ნოღია
თელ-ავივი - თბილისი.
„საქართველოს რესპუბლიკა“ №119

საქართველოს აზროვნების ყოველდღიურობა აზროვნები გაიშალა!

თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში რომ არაჯანსაღი მდგომარეობა შექმნილი, ეს არა-რა სიახლე არ გახლავთ. ჯამაათის წევრები - სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მოითხოვენ - გაბაის, გამგეობის გადადგომას. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ გაბაიმ, გამგეობის წევრებმა ბეით ქნესეთის მსახურთათვის უკადრის, დემაგოგიურ წერილს მოაწერეს ხელი. უკანასკნელ თვეებში კონფლიქტი კიდევ უფრო გაფართოვდა, გამწვავდა. ხაზან დ. აზიზოვის კატეგორიულ მოთხოვნას ბეით-ქნესეთში რელიგიურობის განმტკიცებისათვის ჯამაათის დიდი ნაწილი შეუერთდა. გამგეობა კი ჯიუტად ცდილობდა არსებობის გახანგრძლივებას. არასწორი იქნებოდა ამგვარი შეფასება გამგეობის სრულ შემადგენლობაზე გაგვევრცელებინა: ბოლო ხანს გამგეობის შემადგენლობაში ახალ-ახალი წევრები ჩნდებოდნენ. ამის მიზანი გამგეობის შერყეული რეპუტაციის განმტკიცება გახლავთ. გატეხილი ვერ გამრთელდა, შავი ვერ გათეთრდა. პრიქით, გამგეობის ამ ახალ წევრთაგან ზოგიერთმა სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და იმ პოზიციაზე დადგა, რომელიც ბეით ქნესეთში შექმნილი მდგომარეობის გაჯანსაღება უნდა განაპირობოს.

27 მარტს ჯამაათის ერთ-ერთი წევრის - თემურ მდინარაძის ინიციატივით ჩატარდა შეკრება, რომელიც სწორედ გაბაის გადადგომის საკითხს განიხილავდა. ბ-მა თ. მდინარაძემ „მენორასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შეკრებაზე ითქვა არჩევნების მაისში ჩატარების თაობაზე (იხ. „მენორა“ №7).

ბეით ქნესეთის გაბაის, გამგეობის მუშაობის სტილის მონიშნაღმდეგეებმა, საცხებით ლეგიტიმურ მიზანს მიაღწიეს: 23 ივლისს გაბაიმ გამოაცხადა, რომ სექტემბერში ახალი გამგეობისა და გაბაის არჩევნები ჩატარდება.

დრო მიდის, ადმინისტრატორები იცვლებიან. ბეით ქნესეთი, ღვთის სამსახური კი მარადიულია. ასევე იყვნენ სხვები, მათ გასწიეს შრომა, საჯამაათო საქმიანობაში ჰქონდათ მიღწევები, შეცდომებიც. ეს ჩვეულებრივი პროცესია. როცა ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში მდგომარეობა

სტაბილური გახდება, იგი ბეით ქნესეთისათვის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, ჩვენ ამ გამგეობის მიერ განეული სამუშაოც უნდა შევაფასოთ. შევაფასოთ ობიექტურად, ნაკლის გამო კი არ ვიჭირქლოთ, უნდა აღვნიშნოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ახალმა გამგეობამ არ გაიმეოროს იგივე შეცდომები. მაგრამ, არც მიღწევები, სასიკეთო საქმეები დავივინყოთ. დღევანდელმა გაბაიმ მემკვიდრეობა მიიღო პროვინციისაგან, რომელიც სწორედ სალოცავისათვის დამახასიათებელ მშვიდ, უხმაურო ატმოსფეროში წარმართავდა ბეით ქნესეთის ცხოვრებას. ამ უხმაურო ადამიანმა - იოსებ დავითაშვილმა თავისი გაბაიობის განმავლობაში - საქართველოში გაბატონებული კრიმინოგენური ქაოსის წლებში - მამაცი კაცის თვისებები გამოავლინა: მან, როგორც გაბაიმ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა ებრაელი ერის აუგად მახსენებელი ჟურნალისტის წინააღმდეგ (მას მიუსაჯეს კიდევ პატიმრობა), გაბაი საფესახოდ პურის მარცვლებს შოულობდა და მაცას აცხობდა იმ წლებში, როცა პურის უკმარისობის გამო პურის რეგულირების მკვლელობის შემთხვევაც იყო, როცა თბილისი სიბნელის წყველიაღმით ინთქმებოდა, ბეით ქნესეთში შექმნილი და მაცას ცხობა არ შეწყვეტილა. იოსებ დავითაშვილმა ბეით ქნესეთის ფინანსური მემკვიდრეობაც დაუტოვა. ჯამაათი სთხოვდა კვლავაც დარჩენილიყო გაბაიდ. არ დაიშალა, ახლა სხვამ აკეთოს საჯამაათო საქმეო.

„მენორა“ (№7) უკვე წერდა იმის თაობაზე, თანამედროვე პრობებში, თუ როგორ ტარდება გამგეობის, გაბაის არჩევნები. ასეთი გახლავთ დღევანდელი პრაქტიკა ღია, დემოკრატიული და არა გვაროვნულ-ფეოდალური ხანის პრინციპებზე დამყარებული არჩევნების ჩატარებისა. თუმცა, შესაძლოა, ჯამაათმა ეს დღეს საყოველთაოდ მიღებული ნორმაც გააღრმავოს, გააუმჯობესოს და სხვებისთვის სამაგალითო გახადოს, მაგრამ არის რამდენიმე მომენტი, რომელსაც გვერდს ვერ ავუქცევთ: გაბაიობის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ სამუშაო პროგრამა: რას მიიჩნევენ პრიორიტეტულად, არჩევის შემთხვევაში რაზე გაამახვილებს ყურადღებას. მლოცველთ - რელიგიური ტრადიციების დამცველთ როგორ პირო-

ბებს შეუქმნის, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი მისწრაფებები. გათვალისწინებული უნდა იქნას კანდიდატი რამდენადაა თორის მცოდნე და დამცველი. ამ თვალსაზრისით, სამაგალითოდ მიიჩნევა ნიუ-იორკის ქენისის ქართველ ებრაელთა პრეზიდენტის ბ-ნ იაკობ ელიგულაშვილის (ელბერგი) პრაქტიკა: იმის გამო, რომ იგი ბრუკლინში ცხოვრობს, შაბათს თავისსავე უბანში მდებარე სალოცავში ლოცულობს, რათა მანქანით არ იმოძრაოს (ამ თემაზე საუბარიც ანომალიაა: წარმოუდგენელია საუბარი შაბათს გაბაის მანქანით მოძრაობის თაობაზე).

ახალ არჩევნებში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინონ სალოცავის კარგად მცოდნე ადამიანებმა, მათ, ვისაც აქვს სურვილი და უნარი ემსახუროს ჯამაათს.

როცა არჩევნების ჩატარება გამოცხადდა, საყოველთაო გაცხება გამოიწვია ერთმა ფრაზამ, რომელიც მერე გასწორდა: ვისაც გაბაიობა გსურთ, განაცხადი წარმოადგინეთ, ჩვენ განვიხილავთ და მისაღებ კანდიდატურას დავაკმაყოფილებთ.

ეს გაბაი, გამგეობა კარგა ხანია არაღეგტიმურია არა მხოლოდ ზნეობრივად, იურიდიულადაც. კანდიდატები გამგეობამ კი არა, სათანადო კომისიამ უნდა განიხილოს და შეარჩიოს, ამისთვის საჭიროა ჯამაათმა აირჩიოს 3-კაციანი კომისია - ღირსეული, ზნეობრივი ადამიანები. სწორედ მათ უნდა განიხილონ შემოსული განცხადებები, პროექტები, მოწონებული კი წარუდგინონ ჯამაათს. ჯამაათმა, მხოლოდ ჯამაათმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ სურს იხილოს გაბაიდ, გამგეობის წევრად, იმ ადამიანად, რომელსაც მლოცველთა პრობების გაუმჯობესება ევალება და არა მთელი საქართველოს ებრაული თემის სახელით ლაპარაკი. თავმდაბლობა, ღვთისმსახურების ორგანიზებულობა, რწმენის შეუდრეკელი დაცვა, მიკვეს, მაცის ცხობის, ეროვნული, რელიგიური დღესასწაულების სათანადო დონეზე ჩატარება უწინარესი პირობაა.

ამის გაკეთება კი დიდი მადლია. ეს ღირსეულთ ძალუძთ!

„მენორა“ გაბაიობის ყოველ კანდიდატს საშუალებას მისცემს საზოგადოებას წარმოუდგინოს ბეით ქნესეთის მართვის თავისი ხედვა.

საოჯახო ბანაკი



15-25 ივლისს ბაკურიანში ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი მოეწყო, რომელიც ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდისა და ამ ფონდის დირექტორის ქ-ნი ლენა ბერკოვიჩის ხელშეწყობით ჩატარდა.

ბაკურიანში გაემგზავრნენ ბავშვები ბათუმიდან, რუსთავიდან, ფოთიდან, გორიდან, ცხადაი, თბილისიდან. ბანაკი 150 მოზარდისგან შედგებოდა. ეს ბავშვები ძირითადად ებრაული თემის წარმომადგენლები და პროგრამა „საბავშვო ინიციატივის“ მონაწილეები იყვნენ. უმთავრესად, არაუზრუნველყოფილი და არასრული ოჯახების შვილები, ასევე 67 ინვალიდი ბავშვი. მონაწილეების ასაკი 2-დან 17 წლამდე გახლდათ.

მადრიხების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამა, რომელიც განვიწყობდა იყო დან-

ყებიდან ბოლო წუთამდე. რასაკვირველია, ბავშვებს დასვენების საშუალებაც ჰქონდათ, თუმცა, ამასთანავე მათთვის შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა.

მთელი დღის განმავლობაში ბავშვები დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა პროგრამით, სადაც ისინი ჯგუფებად დანაწილდნენ, საღამოს კი საშუალება ჰქონდათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ დღის მანძილზე დაგროვილი შთაბეჭდილებები. უნდა აღინიშნოს, რომ მათთან ყოველდღიურად მუშაობდა ფსიქოლოგი. მცირეწლოვანი ბავშვები მშობლებთან ერთად იყვნენ განთავსებულნი. ამ ბანაკის სახელწოდება „საოჯახო ბანაკი“ გახლდათ.

თითოეულ ჯგუფს თავისი მადრიხი ჰყავდა და თითოეულს სწორედ მათთვის განვიწყობდა პროგრამა.

ბანაკის ძირითადი თემა გახლდათ: „დროის მანქანა“ - მთლიანად ბანაკი წარმოდგენილი იყო ფანტასტიკური დროის მანქანის სახით, რომელიც დროში მოგზაურობდა. ყოველ დღე ბავშვებთან ერთად იგი ებრაელი ერის დროის სხვადასხვა მონაკვეთში ჩერდებოდა, რაც საშუალებას აძლევდა ბავშვებს უკეთესად გაეცნობოდნენ ებრაელთა ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთს.

ბანაკის მთავარი მიზანი - ებრაელი ახალგაზრდების ერთმანეთთან უფრო მჭიდრო დაკავშირება გახლდათ.

პროგრამების რიცხვში შედიოდა „ებრაელი ლიდერები“, „თ. შერცლი“, „სიონისტური კონფესი და ერეც ისრაელი“, „ცდაცა და მეცნაბობა“, საერთო ბანაკის თამაში „არაღე-

გალური ალია“, „გაეროს სხდომა პალესტინის ტერიტორიის დაყოფასთან დაკავშირებით“, „ავაშენოთ საკუთარი ბიზნესი“ (როტშილი); „კანონი ჩვენს ცხოვრებაში“, „ვინ უნდა ჩაითვალოს ებრაელად?“, „მე ზრდასრული ვარ, (ბარ/ბათ მიცვა)“, „ჩემი შაბათი“, „კაბალათ შაბათი“ ბანაკის საერთო თამაში „მე ჯარში მივდივარ!“, „იომ აზიკარონი“, „ისრაელის კულტურა“, „მოგზაურობა ისრაელში“, „გამოსამშვიდობებელი საღამო - მომავალ შეხვედრამდე“ და ა.შ.

პროგრამები, მართლაც საინტერესო და შემეცნებითი იყო. მშობლებიც და ბავშვებიც ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. ასეთი ბანაკის ჩატარება ზამთარში და მომავალ ზაფხულსაც იგეგმება.

მომავალ ღიღია ხომინაო



იერუსალიმი

იერუსალიმში ბოლო 1 წლის განმავლობაში ლევი ბარ თიკვასა და რაბი რეფაელ ჩიკვაშვილის დიდი მონდომებით შეგროვილ იქნა თანხა სეფერ თორისთვის, რომლის დაწერა ცნობილ სოფერ სთამს დაავალეს. სეფერ თორის შებრძანება მიუძღვნეს ან აბრძანებული საქართველოს მთავარი რაბის იაყაკოვ დავარაშვილის ხსოვნას. ამ წამოწყებას ფინანსური მხარდაჭერა არა მარტო იერუსალიმელებმა, ისრაელისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა ჩვენი თემის წევრებმა აღმოუჩინეს. 5770 (2010)წ. შავუყოთამდე 3 დღით ადრე იერუსალიმში რომემას რაბი ხახამ იაყაკოვ დავარაშვილის სახელობის ბეთ ქნესეთისა და ბეთ მიდრამს „კოლ იაყაკოვის“ ხელმძღვანელთაგანის – ლევი ბარ თიკვას სახლში შევიკრიბეთ სეფერ თორის ბოლო ასოების დასაწერად რაბებთან, ხაზნებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, დიდი ოჯახის წევრებთან ერთად შეხვედრას ვიდევოგადამღები და ფოტოგრაფი აფიქსირებდნენ. დამთავრებული სეფერ თორის გვერდზე რაბი ხახამ იაყაკოვ დავარაშვილის ოთხი ქალიშვილი იდგა. ტკბილედულობა, სასმისი, ხილეული, მუსიკა ყველანაირად ალამაზებდა ამ მხიარულებას. ეზოში მინხის ლოცვის შემდეგ სეფერ თორა ხელით წამოვებრძანეთ, იერუსალიმის ახალი ხიდი-ესტაკადის, ქვემოთ შუქნიშანზე გადავედით კირიათ მოშედან რომემამი. აშქენაზებისა და აღმოსავლეთის თემების ისრაელის მთავარი რაბების შენობიდან მანქანა მუსიკალური თანხლებით გველოდა ზეიმის უამრავ მონანილესთან ერთად, ზიხრონ იაყაკოვისა და ფეთახ თიკვას ქუჩების შესაყარზე შაბთაი ელაშვილის მოედანიც გავიარეთ, ლოცვის შესასვლელთან დაღამებულზე და ნათურებით განახჩახებულზე მუსიკოსები შემოგვიერთდნენ. დამსწრეებმა შეიძინეს 7 ჰაკაფოთის – გარშემოვლის ლოცვიდან გამობრძანებული სეფერ თორების დამატებით, 3 სანთლის, ჰეხალის კარების გახსნის, ციური ფიერვერკებით და სიმხიარულით შევებრძანდით „კოლ იაყაკოვის“ ბეთ ქნესეთ-ბეთ

მადრამ თორის ცენტრში ახალდაწერილ სეფერ თორასთან ერთად. როგორც მამაკაცებთან, ასევე საქალებოში სეფუდათ მიცვის მაგიდები იყო ყველა მონანილზე გახსნილი. საზეიმო მსვლელობას საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელობა **ბაბრიელ მიტილაშვილის** თავკაცობით მიუძღოდა. აქ იყვნენ **იოსებ მაგისტრალი, აპარონ ელაშვილი, ღაბრიელ ბაბოშვილი, ისრაელის ქნესეთის წევრი აბრაჰამ მიხაილი, რომელს ბოლანი, ალბერტ შაშიტი, შაბათი (შოთა) იაკობაშვილი, იაყაკოვ მაშიახოვი, რაბი რეფაელ ჩიკვაშვილი, სალამოს რაბები: მოშე, ბენ ციონ, იაყაკოვ,**

არიელ ბენ ციონ, მაშიახ, შაბთაი, ავრაჰამ მიხელაშვილები, იაყაკოვ გაგულაშვილი, რევეუნ ელბაზი, სიმონ ცურ-ნინუაშვილი, იცხაკ მირილაშვილი, შმუელ ფანიკაშვილი, იცხაკ მოძღვარიშვილი, ავრაჰამ აჯიაშვილი, ცნობილი მოღვაწეები: გერონ ბენ ორენი, მიხელ ბაკელ, აპარონ ბენ ორ, გაბრიელ ჩიკვაშვილი, შალომ ჩიკვაშვილი, შალომ ნინუაშვილი, დავიდ ჩიკვაშვილი, დავიდ აჯიაშვილი, იოსეფ კოლხიდა, მერი დავითაშვილი, დავიდ დათაშვილი და სხვები. დივრე თორას სიმღერა, ცეკვა მოჰყვა და შუალამედე არ შეწყვეტილა.

შოთა იაკობაშვილი



შეცდომა და ხსნა

ეს ამბავი ეხება საქართველოში მოღვაწე ხასიდური მოძრაობის მიმდევარ ქართველ ებრაელებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს დიდი განსაცდელი, რაც მათ საქართველოში შეემთხვათ. ამ ამბის წყარო ან განსვენებული დიდი რაბი ხახამ იაყაკოვ დავარაშვილი ბრძანებდა, რომელმაც ამ თემაზე იდარაშა კიდევ იმავე შაბათს, რომელ კვირაშიც ამბავი მოხდა 5689 (1928წ) 14 ქსლევს.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები, რომლებიც ტრადიციულად რაბი ადმორ ლუბავიჩის „ხაბადის“ მიმდევრებად ითვლებოდნენ, ყოველ წელიწადს დიდი სიხარულით და სიყვარულით გრძნობით აღნიშნავდნენ „სიმხათ ჰარაბის“ - რაბი ადმორ ჰაზაკეინის - გეულას. მისი დახსნის დღეს. საქართველოს ხახმები, რაბები და საერთოდ ხელმძღვანელები, რომლებიც ასევე ხაბადის იემიბოთებში სწავლობდნენ, ერთ ასეთ საზეიმო საღამოს, რომელიც სავსე იყო სიხარულით, რწმენით, თორაზე საუბრებით, პურ-მარილით და ლოცვებით რაბებმა გადაწყვიტეს პოლონეთში, ვარშავაში, რაბი ლუბავიჩისათვის გაეგზავნათ მისალოცი დეპეშა შეუღლებასთან დაკავშირებით. იმ წლებში ლუბავიჩის რაბი ვარშავაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მილოცვა უნდა შეედგინათ ისეთი, რომ იგი შეკაზმული, გამშვენიერებული უნდა ყოფილიყო წინადადებით, რომელიც ამოღებული იქნებოდა წმინდა თორიდან, კერძოდ, „თანახიდან“ მათ აირჩიეს ერთ-ერთი მთავარი დალოცვა: „და მოცემს გამჩენი ამ ქალს, რომელიც მოდის შენს სახლში ლოცვა-კურთხევით, როგორც ილოცებოდნენ ჩვენი დედები რახელი და

ლეა, რომლებმაც ააგეს სახლი ისრაელისა წმიდა და გამარჯვებული.“ („რუთ“ 4:11).

საზეიმო საღამოზე მონანილებს შორის იყო ერთი აშქენაზი რაბი, სწორედ მას სთხოვეს ეს დეპეშა გადაეთარგმნა ქართულიდან რუსულ ენაზე, მან თარგმანში დაუშვა შეცდომა, სიტყვა „რუთ“ თარგმანში დაიბეჭდა როგორც „რუს“, ესეიგი „თ“-ს ნაცვლად შეცდომით დაინერა „ს“. სიტყვა „რუს“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. ლაპარაკია ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდზე. ფოსტის თანამშრომლები ამ სიტყვამ ებრაულ ტექსტში დააეჭვათ და გადაწყვიტეს დეპეშა, მილიციისათვის გადაეგზავნათ. ასეც მოიქცნენ. მილიციაში შეიქმნა აზრი, რომ წააწყდნენ ჯაშუშთა ქსელს, ქსელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საციალური ნიშნებით მოქმედებდა, მილიციის თანამშრომლებმა არ დააყოვნეს და უფროსმა იმ ზეიმის მონანილე ყველა რაბი, თუ იქ მყოფნი დააპატიმრეს. ყველასთვის ცნობილია, თუ რა საშინელი სასჯელი ელოდათ მათ ამ „დანაშაულისათვის“.

ქუთაისში მცხოვრები მთელი ებრაული თემი სასონარკვეთილებაში ჩავარდა, საშველი კი არ ჩანდა. დიდმა რაბიმ მოშე „ჰაკატან“ დავარაშვილმა არ დაკარგა იმედი და ჩვეულებრივი ბრძნული სიძინჯით შეუდგა შექმნილი სიტუაციის ამოხსნას. აიღო ქართულ ენაზე გამოცემული „თანახი“, წავიდა მილიციაში, იოლი არ იყო ეს შეხვედრა. იაკობ დავარაშვილს დიდი დრო დაჭირდა ვიდრე მილიციის უფროსს დაარწმუნებდა, რაბების სიმართლეში. ამაში დიდი როლი ითამა-

შა თვით რაბს იაყაკობის პოპულარობამ და იმ სიყვარულმა, რომლითაც იგი სარგებლობდა. მილიციაში დარწმუნდნენ, რომ თარგმანში დაშვებული იყო შეცდომა და ამის საფუძველზე ყველა დაკავებული ებრაელი იქვე განთავისუფლეს. როგორც ნათქვამია, „სიტყვები სიმართლისა გადადიან გულიდან გულამდე, და თავისას ბუნებრივად აკეთებენ.“ ატმოსფერო შეიცვალა – ხალხმა შვება იგრძნო.

იმავე შაბათს განთავისუფლებულმა მთავარ ლოცვაში „გომელი“ თქვეს, მაგრამ მათ გულებში ჯერ კიდევ იყო ფარული შიში. მომდევნო შაბათს, როდესაც ხახამ მოშე ჰაკატან დავარაშვილი თემაზე დაერაშობდა, სალოცავში შემოვიდა მილიციის უფროსი, რომლებსაც მცველებიც ახლდნენ თან, მლოცველები გაფითრდნენ, ისინი შიშმა აიტანა, იფიქრეს, ვაითუ პირვანდელი გადანყვეტილება გააუქმა და ისევე საპატიმროში გვიკრან თავიო.

მილიციის უფროსმა რაბის სიტყვა სთხოვა, მანაც რაბის ნებართვით, მოკლედ ისაუბრა:

– თქვენ თემს ნამდვილი სასწაული შეემთხვა. თქვენმა დეპეშამ თითქმის მიაღწია „მაღალ ფანჯრებს“, რომლის იქითაც მართალი იყავით თუ არა, ეს სულერთია – გაციმბირება არ აცდებოდათ. ჩემი მონდომებით განსაკუთრებით კი თქვენი დიდი რაბის იაყაკოვ დავარაშვილის გამჭრიახობის წყალობით ყველანი თავისუფალი ხართ და მეც ვუერთდები თქვენს ამ დიდ სიხარულს.

ეს, მართლაც, დიდი სასწაული იყო იმ პერიოდისთვის.

ხახამ შალომ ჩიკვაშვილი.

აბრათაბი მსოფლიო ხალხებაბი

აქალო მოლიანი

ლეგენდარული მხატვრის სასწაულმოქმედმა გამოფენამ პარიზის ცენტრში, ლუქსემბურგის პარკის და ლათინური კვარტლის საზღვარზე ვულკანივით ამოხეთქა და საოცარი ფერწერის ალმა, შუადღის მზესავით გაანათა სრულიად საფრანგეთი, ხოლო მისგან უცხოდ მოფენილმა მალაქმხატვრული გემოვნების და უზომო ნიჭის არომატმა, გააბრუა და ნეტარებით ალაგსო მსოფლიოს ხელოვნების აკვანქალაქი; მოდილიანისეულმა ღვთისსულმოფენილმა, უსაზღვრო სიყვარულმა, დიდმა ადამიანურმა სითბომ, სიკეთემ და კოსმიური მშვენიერების ხილის სიხარულმა, მხატვრის მიწიერმა და ზეციურმა სევდამ, ბინდისფერმა ტრადიციამ და სულის ამანიოკებელმა დრამამ, ბოლომდე დაიპყრო პარიზი.

ჩემს ცხოვრებაში სასწაულებრივი მოვლენებით სავსე 2002 წელი: პარიზული ცივი და გამჭოლქარიანი ოქტომბერი...

დილიდანვე უთავბოლოდ ვტრიალებ პომპიდუს მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში; განსაკუთრებით დღეს, პროფესიონალური ჟინით და გარკვეული მიზნით ვსტუმრობ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ფერწერისა და ქანდაკების ნოვატორებს, პლანეტის ხელოვნების კორიფეებს: კოსმიურ ქარბორბალა პაბლო პიკასოს; კუბისტური მიმდევრობის ლიდერთაგანს, მშვიდსა და სულიერად განონასწორებულ ბრაკს; დიდ ფერმწერსა და უნიკალურ მხატვარს, ანრი მატისს; შეუდარებელ გენიას ვასილ კანდინსკის; ცაზე და დედამიწაზე ერთაირად მოარულ მარკ შაგალს; შესანიშნავ ლარიონოსს; ბუმბერაზ სიურეალისტს, სიზმართა და სიცხადის ერთ სივრცეში ჩამომსხმელ სალვადორ დალის; მის თანამოაზროვნეს ტანგის და მათგან მრავალს და მრავალს და, რა თქმა უნდა, ბოლო პერიოდის ულტრამოდერნისტებსაც. ამ მხატვართა ნაწარმოებებში, სურათის სიბრტყის შიგნით მიმავალი შორეული სამყაროა გაშლილი მათივე მალაქი და უსაქტაკესი სულიერებით, რომელიც ფიზიკურ თუ საგნობრივ ხილვამდეა აზიდული. სულის დაახლოებით, ანუ სრული ფორმით გამყლავნება, მხოლოდ და მხოლოდ დიდ ხელოვნებაშია შესაძლებელი, სადაც დამაჯერებლადაა განფენილი ღრმა და მალაქი მხატვრულიობა ახლებური და ნოვატორული ფორმების მოვლენებითა და მათი სრულფასოვანი გამოსახვით.

მუზეუმის ერთ-ერთ ვინრო დერეფანში, მინის მიღმა ვიტრინებში, ექსპონირებულ სურათებს ვათვალისწინებ და მოულოდნელად ჩემს წინ დილის მზის სხივებით სავსე მოდილიანის პატარა ზომის ფერწერული ტიო — ახალგაზრდა ქალის პორტრეტი აენტო: გამაშეშა, გამაოგნა და თან უსაზღვროდ გამიხარდა. იქვე, სურათის გვერდით, (მოდილიანის მისივე, თეთრი ქვისგან გამოთლილი ქანდაკება—პორტრეტი დგას ათასწლეულთა შორეული სიღრმეებიდან მოვლემარე ვულკანივითა და არქაული გულმკერდით სუნთქვის მოდილიანს, ხელოვნების ნებისმიერ სფეროში რომ ემოლვანა, ყველგან მხოლოდ მოდილიანი იშვებოდა) პორტრეტული ქანდაკება თითქოსდა მარტივი ფორმებითაა შექმნილი, მაგრამ ნაწარმოები უდიდესი მხატვრული ტევადობისა და სულიერებისა. რა სახეობას არ აღმოაჩენს მის შემოქმედებაში, თვითნაბადი და ვუნდერკინდი ბავშვის განწყობილებას, ასევე პირველყოფილი არქაიზმიდან დაწყებული ხელოვნების უახლოეს მიმდინარეობამდე: მომავალი საუკუნეების და ათასწლეულთა ყოველი ახალი მხატვრობათა და მიმდინარეობათა თვისებებიცაა ჩაღვენთილი: პირდაპირ კაცობრიობის საოცრებადაა მოვლენილი ეს ღვთისგან ნიჭბობებული მხატვარი; ამდაგვარ განწყობილებიდან წყვეტილი ჩემი გონებრივი მზერა უცაბედად გადანათდა ნოტერდამის ტაძრის წინა ფასადზე სიგრივად განლაგებული ბიბლიური ებრაელთა მეფეების ქანდაკებებზე, კერძოდ სოლომონ მეფიდან დაწყებული; მათი უძლიერესი და ზეციური ნიჭი ამედეოს პიროვნებაში მეორე ათასწლეულის ბოლოს მკვიდრად ჩასახლებულა და მხატვარი საოცრება გენიალურ ფერმწერად მოველინა ჩვენს ახალ მესამე ათასწლეულს...

„ქალაქის პორტრეტი“, აქ მხოლოდ ადამიანის სახე და ჰარმონიულად შეწყობილი მალაქი, უმშვენიერესი ყელია გამოსახული. მალაქი, უმშვენიერესი ყელია გამოსახული. მუქ, მომწვანო ფონზე შექმნილია მოდილიანისეული უდიდესი გემოვნების პორტრეტი; მთლიანობაში კი მსუყე ფერების განმაცვიფრებელი გარემოა — მოვარდისფერო, ნითელი და მუქი, შავამდე მიყვანილი ლურჯების მონანილეობით. სურათი, სწრაფად შექმნილი პორტრეტული ეტიუდია, ალბათ რამდენიმე ათეულ წუთში შობილი შედეგრი. ფერწერის სამყაროში, ყოველი დროისათვის დამახასიათებელი დიადურობა და ინდივიდუალიზმია ამ პორტრეტში...


პომპიდუს ხელოვნების უდიდეს მუზეუმში უცხო პლანეტიდან მარტოხელა ბრილიანტად შემოგდებული სურათია, რომელიც მოციქულთა სიძლიერით ერკინება უმკაცრეს დროს და გარემოს.

ბუნება თავისთავად სიცოცხლის უსასრულობაა, მაგრამ ტილოს და ფერის მეშვეობით ამგვარი მარადიული ხელოვნების და უკვდავი სიცოცხლის შობა, მართლაც ამქვეყნიური საკვირველება და ღვთიური მოვლენაა...

2002 წელს, პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში, ჩემი შემოქმედებითი მიწვევა უაღრესად მნიშვნელოვანი გამოდგა, მაგრამ ყოველივეს და ყველაფერს გადააჭარბა მეოცე საუკუნის, უდიდესი მხატვრის ამაღეო მოდილიანის პერსონალურმა გაფორმებამ, რომელიც გაიმართა ლუქსემბურგის პარკთან მდებარე შესანიშნავ საგამოფენო დარბაზში. ორასამდე შედეგრი იყო გამოფენილი: ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება. გამოფენაზე ექსპონირებული ნაწარმოებებიდან უმეტესობა ჩამოტანილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებიდან, გალერეებიდან და მდიდარი კერძო კოლექციებიდან.

პირდაპირ დაუფერებელი და საკვირველია, როგორ ვერ გაუგო მოდილიანს, როგორც მხატვარს, მსოფლიო ხელოვნების აკვნად შერაცხულმა პარიზმა?! ის პარიზი, რომელიც ერთ დროს მოდილიანს თავისი გულგრილობით, მიუხვედრელობით და უყურადღებობით თავიდან იშორებს; დღეს კი, საგამოფენო დარბაზების კარებთან, თანამედროვე პარიზელები ლუქსემბურგის პარკის გვერდით, უკიდურესად აღტაცებულნი და მოდილიანის ხელოვნებით აღელვებულნი, იობის მოთმინებით, კილომეტრიან ცოცხალ რიგში დგანან და ვინ იცის, ამ დროს რას ფიქრობენ... ამ საინტერესო ისტორიიდან გამომდინარე, სევდის მომგვრელი ამბავი მინდა გაუნყოთ; გუშინ მოსკოველ კოლეგებთან ერთად, პერლაშეზის სასაფლაოზე გავედი.

მოდილიანის და მისი უერთგულესი მეგობრის, ჟანას საფლავები მოვინახულეთ. ჟანა ჰებიუტერნი, სიყვარულის, განუწყრე-



მეულის — ჟანას პორტრეტი

ლი მეგობრობის ეტალონი. ამადეოზე მისტიკურად შეყვარებულმა, დაუნახავი და გულბოროტი, ადამიანებისაგან განამებული ამადეოს მოულოდნელი სიკვდილი ვერ აიტანა ამ ქვეყნად უამადეოდ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია და წუთისოფელს თავისი ნებით განეშორა... ამჟამად მიუხედავი და მოუვლელია ორივეს საფლავი, მოდილიანის განსასვენებლის მინაზე დასვენებული ბრტყელი ქვის ლოდის წარწერებიდან, ბრონზები ამოყრილი ანუ ამოცვეთილი იყო. საფლავის ირგვლივ სარეველა ბალახიც ჭარბობდა. ამ სურათით გაკვირვებულემა, როგორც შეგვეძლო, ისე გავასუფთავეთ იქაურობა და მათ წმიდა საფლავზე, ყურცქვიტა მინდვრის ყვავილები დავასვენეთ. აი, ასეთია მეგობრებო, გარდაცვლილი მოდილიანის ამჟამინდელი ბედი: მის დანატოვარ შედეგებზე კი ერთმანეთს ხოცავენ კოლექციონერები, მუზეუმების და გალერეების მეპატრონენი, დიდი ბიზნესის მწარმოებლები, სხვადასხვა დონის ხელოვნებათმცოდნეები, ხელოვანნი და ხელოვნების მოყვარულნი; ხოლო ამადეო მოდილიანის და ჟანა ჰებიუტერნის განმარტოებული საფლავები ვარსკვლავებს შეჰყურებდნენ, ღვთის და უღვთო ქვეყნის ანაბრად მიტოვებულნი (ასეთი ყოფილა ბედის ფორმა და შინაარსი). მხატვრის, მხოლოდ შედეგებია, საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ხოლო ცოცხალი თუ გარდაცვლილი ავტორთა ბედი, მათგან მხოლოდ ერთეულებს თუ აინტერესებთ.

რეზო-მეილიანე კაბაია
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი
(დასასრული შემდეგ ნომერში)

განსოვლით ეს ქალბატონი!

ახლახანს, 98 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალბატონი ირინა სანდლერი. მეორე მსოფლიო ომის წლებში ირინა ვარშავის გეტოში სანტეჟნიკოს-შემდგომად მუშაობდა.

მას ამისათვის „ფარული მოტივები“ ჰქონდა. როგორც გერმანელმა, მან იცოდა ნაცისტების გეგმები ებრაელებთან მიმართებაში.

ომის დროს მან ვარშავის გეტოდან 2500 ბავშვი გადაარჩინა, იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ცნობილმა ოსკარ შინდლერმა. ექიმის შვილი ირინა ისეთ ოჯახში გაიზარდა, რომელიც ღია იყო ნებისმიერი ავადმყოფისა თუ გაჭირვებულისთვის. ირინა ხშირად იხსენებდა მამის დარიგებას: თუ შენ ხედავ, რომ ვინმე იხრჩობა, უნდა ჩახტე წყალში და გადაარჩინო იგი, თუნდაც ცურვა არ იცოდეს.“

გეტოდან მალულად გამოყვანისას ჩვილებს უკეთებდნენ სედატიურ საშუალებებს, იმისათვის რომ არ ეტირათ. სამედიცინო ფურგონის მძღოლმა თავის ძალს ხმამაღალი ყევა ასწავლა, რათა დაეხშო ბავშვების ტირილი, რომლებიც მას ფურგონის ძირზე ჰყავდა მიმაგრებული. ოპერაციები წამებით იყო გათვლილი. ნებისმიერ დაგვიანებას ან გაუთვალისწინებლობას, შესაძლოა ყველასათვის სიკვდილი მოეტანა.

ირინა სანდლერი იხსენებდა, თუ რა საშინელი არჩევანის წინაშე უხდებოდა ებრაელი დედების დაყენება, რომლებსაც იგი შვილებთან განშორებას სთავაზობდა. ისინი ხშირად ეკითხებოდნენ ირინას, შეეძლო თუ არა მას გარანტიის მიცემა, რომ მათი შვილები გადაარჩებოდნენ. რა თქმა უნდა, გარანტიას ვერცხვებდნენ. ირინა უნდა, გარანტიას ვერცხვებდნენ. ირინა უნდა, გარანტიას ვერცხვებდნენ. ირინა უნდა, გარანტიას ვერცხვებდნენ.

იყო დარწმუნებული, საერთოდ დაღწევიდან თუ არა გეტოს თავს. ერთადერთი, რაც ყველამ იცოდა, იყო ის, რომ თუ ბავშვები დარჩებოდნენ, გეტოში აუცილებლად დაიღუპებოდნენ. ირინა ამბობდა: „მე ვიყავი საშინელი სანახაობის მომსწრე, როდესაც, მაგალითად მამა თანახმა იყო შვილთან განშორებაზე, ხოლო დედა – არა. ხშირად ხდებოდა, რომ მეორე დღეს, ამ ოჯახს საკონცენტრაციო ბანაკში გზავნიდნენ.“

ბავშვებს ახალ სახელებს აძლევდნენ და ქალთა მონასტრებში, თანამოზიარე ოჯახებში, თავშესაფრებში და საავადმყოფოებში ანაწილებდნენ. მათ, ვინც ცოტა მოზრდილი იყო და ლაპარაკი იცოდა, პირფარის გადანერვას ასწავლიდნენ ისე, რომ სხვებს ეჭვი არ გასჩენოდათ მათ ებრაულ წარმომავლობაში.

ირინა ადგენდა მის მიერ გამოყვანილი ბავშვების სიას. გოგონა ცდილობდა ბავშვების წარმომავლობის შესახებ ჩანაწერების შენარჩუნებას, იმისათვის, რომ შემდგომ დახმარებოდა მათ ოჯახების პოვნაში. სიებს ინახავდა გამჭვირვალე ქილებში, რომლებიც უკანა ეზოში, ხის ქვეშ იყო ჩამარხული. ეს ძალზე სახიფათო იყო. საბოლოო ჯამში, ი. სანდლერი დაიჭირეს. ნაცისტებმა, სასტიკად სცემეს და დახვრეტა მიუსაჯეს. დოკუმენტების თანახმად, ირინა დახვრეტეს, მაგრამ იგი სასწაულთქვედ გადარჩა.

ომის შემდგომ შეეცადა მოეძებნა ყველა შესაძლო გადარჩენილი მშობელი და გაეერთინებინა ოჯახი. თუმცა ებრაელთა უმეტესობამ გაზის კამერაში დაასრულა სიცოცხლე. ბავშვები, რომლებსაც ირინა დაეხმარა ბავშვთა სახლებს იყვნენ მიბარებულნი ნაწილი – კი იშვილეს.

1965 წელს ისრაელის ჰოლოკოსტის „იად

ვა-შემ“-ის მუზეუმმა ირინა სანდლერს მსოფლიო ერების წმინდანის წოდება მიანიჭა. ეს ქალბატონი არ თვლიდა საკუთარ თავს გმირად. იგი ყოველთვის წუხდა იმის გამო, რომ მეტის გაკეთებაც შეეძლო – გადაერჩინა ადამიანის სიცოცხლე და შესაძლოა, კიდევ არაერთის. გასულ წელს ირინა სანდლერი ნობელის მსოფლიო პრემიაზე იყო წარდგენილი.



ებრაული სატელეგრაფო სააგენტო გვატყობინებს:

აშერიის ებრაულმა კონგრესმა მუშაობა შეაჩერა

ეს ებრაულ-ამერიკული უფლებადამცველი ორგანიზაცია აჩერებს თავის მოღვაწეობას, ეს ცნობა მიღებულია აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისგან – მარკ სტერნისგან. ხმები მოსალოდნელი კატასტროფის თაობაზე თვეების მანძილზე დადიოდა. ამბობდნენ, რომ ორგანიზაცია კრახის ზღვარზე დგას ბერნარდ მადოფის პირამიდაში სახსრების ძირითადი წილის დაკარგვის გამო. „ჯერ უნდა ვთქვათ“ ჯერ კიდევ აპრილში იტყობინებოდა, რომ ამერიკის ებრაულმა კონგრესმა მადოფის პირამიდაში თავისი კაპიტალის 90% დაკარგა, რომელიც დაახლოებით 24 მილიონ დოლარს აღწევდა.

ამერიკის ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა რიჩარდ გორდონმა გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ორგანიზაციას აქვს თანხა ბანკში, მაგრამ გარკვეული შეზღუდვების გამო, რომელიც ორგანიზაციის წესდების მიერ არის გათვალისწინებული, ეს თანხა ხელმიუწვდომელია.

ამბობენ, რომ 92 წლის ისტორიის მქონე კონგრესი მოლაპარაკებებს აწარმოებს ამერიკის ებრაულ კომიტეტთან შერწყმის თაობაზე.

ნეთანიაჰუ და მუბარაკი საგვიდორო პროცესის საბოლოო განხილვაზე

პრემიერ-მინისტრი ბინამინ ნეთანიაჰუ და ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაკი ერთმანეთს კაიროში შეხვდნენ. აქ მათ განიხილეს ეგვიპტის პოზიცია ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო პროცესთან მიმართებაში.

18 ივლისს ისრაელისა და ეგვიპტის ლიდერებმა ორი საათი ისაუბრეს. მუბარაკი ასევე შეხვდა პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარეს მაჰმუდ აბასს, აგრეთვე აშშ-ს სპეციალურ ემისარს ახლო აღმოსავლეთში ჯორჯ მიტჩელს.

ნეთანიაჰუმ და მუბარაკმა განიხილეს ეგვიპტის თვალსაზრისი ახლანდელ არაპირდაპირ და მომავალში პირდაპირ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებენ „ორი სახელმწიფოს შექმნისათვის საჭირო პირობებს“ - განაცხადა სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო Ynet-მა.

ეს შეხვედრები წინა კვირას იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაიდო თითქოსდა პრეზიდენტ მუბარაკის შეუძლოდ ყოფნის გამო, თუმცა, სხვა წყაროები იტყობინებოდნენ, ეს გადავადება ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმში პალესტინელთა სახლების დანგრევას-

თან არის დაკავშირებული. 18 ივლისს ნეთანიაჰუმ კაბინეტის სხდომაზე განაცხადა – „პრეზიდენტი მუბარაკის ხელმოწვევით ეგვიპტე გახლავთ რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის უმთავრესი ფაქტორი. მე ვაპირებ საუბარს პრეზიდენტ მუბარაკთან ჩვენსა და პალესტინელებს შორის მოლაპარაკებების დაწყებასა და ამ პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით.“

ისრაელი - ნომერი 8, აშშ - ნომერი 14

ისრაელმა მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ქვეყნებს შორის, მერვე ადგილი დაიკავა, - ეს აჩვენა ახალმა გამოკითხვამ.

Gallup world poll-ის გამოკითხვა 155 ქვეყანაში ისრაელის სახელმწიფო კანდასთან, შვეიცარიასთან და ავსტრალიასთან გააერთიანა.

ფორბსმა, რომელმაც 29 ივლისს ეს სია გამოაქვეყნა წერს, რომ ყველაზე მდიდარი ქვეყნები მთლიანობაში ყველაზე ბედნიერ ქვეყნებად ითვლებიან. ლიდერობენ სკანდინავიური ქვეყნები - დანია, ფინეთს, ნორვეგიას, შვეიცარიას და ნიდერლანდებს პირველი ხუთი ადგილი უკავიათ.

შეერთებული შტატები მე-14 ადგილზე აღმოჩნდნენ, დიდ ბრიტანეთზე სამი პუნქტით მაღლა. გამოკითხვაში მონაწილეობდა ათასობით რესპონდენტი, რომლებსაც სთხოვეს მათი ცხოვრების შეფასება ათბალიანი სისტემით. გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა 2005-2009 წელს შორის, რესპონდენტს სთავაზობდა ყოველდღიური შეგრძნებების სიას, რომელიც გამოკითხვას დაეხმარა, იმის განსაზღვრაში თითოეულ ქვეყანაში ადამიანების რაღაც ნაწილი „განიცდის წინსვლას, იბრძვის თუ იტანჯება“.

აფრიკულმა ქვეყნებმა ძალიან დაბალი შეფასებები მიიღეს, ბოლო ხუთი ადგილი დაიკავა სიერა-ლეონემ, კომორის კუნძულებმა, ბურუნდიმ და ტოგომ, მათ რიცხვშია ასევე კამბოჯა - აი, მსოფლიოში ყველაზე უბედური ქვეყნები.

ისრაელმა მნიშვნელოვნად გაუსწრო ბედნიერებაში თავის მეზობლებს: იორდანამ 52-ე ადგილი დაიკავა, ლიბანმა - 73-ე, ეგვიპტემ და სირიამ - 115-ე, პალესტინის ტერიტორიები 88-ე ადგილზე აღმოჩნდნენ.

ამერიკაში ყველაზე ბედნიერი კოსტა-რიკა აღმოჩნდა, მან მსოფლიოში მე-6 ადგილი დაიკავა.

ამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბედნიერება გარკვეულწილად სიმდიდრესთან არის დაკავშირებული. „ფული - ეს არის ის, რაც ადამიანებს

უმრავლესობას სჭირდება, ის, რისთვისაც ისინი იღვნიან ფიზიკურად ყოფნის თითოეული საათის მანძილზე“ - დანერეს მკვლევარებმა ჩატარებული გამოკითხვის ანგარიშში.

არაბმა ბანკში გააპროტესტა

არაბმა, რომელიც იერუსალიმის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა მოტყუების გზით გაუბატონებაში: მან თავი დაოჯახების მაძებარ ებრაელად გაასაღა და ქალთან სარეცელი გაიზარა, თავისი განაჩენი ისრაელის უზენაეს სასამართლოში გააპროტესტა.

30 წლის არაბს - საბერ კაშურის განაჩენი უცხოური გაზეთების სათაურებში მოხვდა. გაზეთებმა ისრაელის სასამართლო სისტემა რასიზმში დაადანაშაულეს. ეს ფაქტი ჩართული იქნა კაშურის ადვოკატების სააპელაციო წერილში.

კაშური დაოჯახებული აღმოჩნდა, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ცხოვრობს აღმოსავლეთ იერუსალიმში. იგი არ უარყოფს, რომ ჰქონდა ერთდროული სექსუალური კავშირი ებრაელ ქალს - მარიასთან, მაგრამ ისიც აღნიშნა, თავი არ გამისაღებიაო ებრაელად. მაია და კაშური ერთმანეთს 2008 წელს იერუსალიმში შეხვდნენ, მან მაიას თავი წარუდგინა ებრაელ მარტოხელად, რომელიც სერიოზული ურთიერთობებით იყო დაინტერესებული, - ნათქვამია საბრალდებო განაჩენში. შემდეგ წყვილი უახლოეს დანესებულებაში მივიდა, სადაც კაშური მაიასთან შევიდა სექსუალურ კავშირში. სექსუალური აქტი ორივეს სურვილით მოხდა, ამის მერე კაშური გაქრა. ქალბატონმა საჩივარი შეიტანა მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ კაშური ებრაელი არ ყოფილა. სასამართლომ დაადგინა სექსუალურ კავშირზე თანხმობა ტყუილის შედეგად იქნა მიღებული.

სააპელაციო განცხადებაში კაშურის ადვოკატმა განაცხადა, რომ სასამართლომ განაჩენის გამოტანისას უფლებებს გადააჭარბა, სახალხო დამცველმა ელკან ლეისეტმა თქვა: საოლქო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ გაცნობის, ტყუილის თქმასა და სექსუალურ აქტს შორის მხოლოდ რაღაც წუთები იყო გასული.

„ძნელი დასაჯებელია, რომ ქალბატონი, რომელიც შეხვედრიდან რამდენიმე წუთში სექსუალურ კავშირს ამყარებს მამაკაცთან, ამას აკეთებს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მამაკაცი სერიოზული ურთიერთობით არის დაინტერესებული“, - განაცხადა ლეისეტმა ინტერვიუში.

რას ვპიოხ ულობთ
ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი



მ
ე
ნ
ო
რ
ა

კვირის საკითხავ თავში „შოფტი“ საუბარია ებრაელი ხალხის მართვის ძირითად პრინციპებზე: ებრაულ სასამართლოზე და კანონებზე მოსამართლეებზე, ებრაელი მეფის დანიშნაზე. მოშე ებრაელებს ჩააგონებდა, რომ ყველა იმ ქალაქში, სადაც ებრაელები ცხოვრობენ, უნდა იყოს ებრაული სასამართლოები, სადაც ხალხს გაასამართლებენ თორის კანონების მიხედვით. საკითხების გადასაწყვეტად მინიმუმ სამი მოსამართლეა საჭირო. მათ აქვთ ფინანსური საკითხების გადაჭრის უფლება, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს კი ისინი არ წყვეტენ (საინტერესოა, რომ ზოგიერთმა სხვა ხალხებმაც გადაიღეს ეს და სტალინის დროს შეიქმნა ცნობილი სამეულები, რომლებიც ასამართლებდნენ ხალხს, მაგრამ თორის კანონებისაგან განსხვავებით, მათ სიკვდილის განაჩენს გამოტანაც შეეძლოთ). მცირე სანჰედრინი შესდგებოდა 23 მოსამართლისაგან, რომელთაც ჰქონდათ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება. დიდი სანჰედრინი კი შედგებოდა 71 მოსამართლისაგან, რომლებიც ყოველდღიურად ატარებდნენ სხდომებს ტაძრის შენობაში. ბუნებრივია, რომ ისინი წყვეტდნენ განსაკუთრებით რთულ და მნიშვნელოვან საკითხებს. მაგალითად, თუ

ებრაელთა მეფე ომს აპირებდა, თანხმობა დიდი სანჰედრინისაგან უნდა მიეღო. იმის გარდა, რომ დიდი სანჰედრინის წევრები თორაში ღრმად განსწავლულნი უნდა ყოფილიყვნენ, მათ უნდა სცოდნოდათ ის 70 ენა, რომლებზედაც მეტყველებდნენ იმ პერიოდის ხალხები. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ მოესმინათ თითოეული მოწმისათვის იმ ენაზე, რომელზედაც ის მეტყველებდა (ანუ თარგმანის გარეშე). მოსამართლეებს ეხმარებოდნენ „შოტრიმ“ ისინი, ვინც ამონებდნენ, თუ როგორ სრულდებოდა მოსამართლეთა გადაწყვეტილებები. თორა მოსამართლეებისაგან მოითხოვს უზადო პატიოსნებას და გამბედაობას სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. თალმუდი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ებრაელი მეფის იანაის (მაკავეების გვარიდან) მონამ (ყმამ) მკვლელობა ჩაიდინა. რაბი შიმონ ბენ შეტახმა, დიდი სანჰედრინის უფროსმა, მეფე სასამართლოში მოიწვია. მეფემ მიიღო გამოწვევა და სასამართლოში მიბრძანდა. ის ყველანაირად აჩვენებდა მოსამართლეებს, რომ უმჯობესი იყო ყმა (მონა) გამომართლებინათ. სასამართლოში გამოჩენისას ის მოსამართლეთა წინაშე დაჯდა. „ადექი იანაი - მიმართა მას რაბიმ - შენ ხომ ხალხს წინაშე არ დგახარ, შენ დგახარ მის წინაშე, ვინც სამყარო შექმნა. - დაე, სასამართლომ გადაწყვიტოს როგორ მოვიქცე, დავდგე თუ დავვდგე, რას იტყვიან სანჰედრინის დანარჩენი წევრები?“ რაბი შიმონ ბენ შეტახი (ამასთან, ის იანაის ცოლის ძმა იყო) მიუბრუნდა სანჰედრინის დანარჩენ წევრებს და დაინახა, რომ ისინი ვერ ბედავდნენ მეფის შეწინააღმდეგეობას. მაშინ რაბიმ განუცხადა მოსამართლეებს: „თქვენ არც აპირებთ სამართლიან განსჯას. თქვენ მოაყვანინეთ მეფე იმ იმედით, რომ მოწმეებს შეეშინდებოდათ მეფის და გაამართლებდით მის მონას (ყმას). რადგანაც თქვენ ცოდვიანი აზრები განუხებთ, დაე, განსაჯოს მან, ვინც იცის ადამიანთა ფიქრები.“ მაშინ გამჩენმა ანგელოზი გამოაგზავნა და მოაკვლევინა მოსამართლეები. მოსამართლეები ასე სასტიკად იმიტომ დაისაჯნენ, რომ სამართლიანი განსჯა - ეს არის ერთ-ერთი იმ სამ საყრდენთაგანი, რომლებზედაც სამყარო დგას. ამასთან სანჰედრინს სიკვდილის განაჩენი ძალიან იშვიათად გამოჰქონდა. საჭირო იყო დანაშაულის დამამტკიცებელი ძალიან სერიო-

ზული პირობები. გემარა გვიხსნის, რომ სანჰედრინი, რომელსაც 70 წლის განმავლობაში 1 სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდა სისხლიანად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მაშინ, როცა ებრაელი ხალხი თორის კანონებს იცავდა, დანაშაული ძალზე იშვიათად ხდებოდა. ტაძრის დანგრევის შემდეგ სანჰედრინს საერთოდ აღარ გამოჰქონდა სიკვდილის განაჩენი. ისრაელის მინაზე დამკვიდრების შემდეგ ებრაელ ხალხს უნდა დაენიშნა ებრაელთა მეფე, რომელსაც აირჩევდა წინასწარმეტყველი გამჩენისაგან და სანჰედრინი. პირველი ებრაელი მეფე, რომელიც მეფედ აკურთხა წინასწარმეტყველმა შმუელმა, იყო მეფე შაული. ებრაელთა მეფე ვალდებულია იცავდეს თორის კანონებს, უნდა მართავდეს საკუთარ ხალხს, დანერგოს ქვეყნად სწინიდე და სამართლიანობა, აწარმოოს ომები და განსაჯოს საკუთარი ხალხი. მაგალითად, მეფე დავითი სანჰედრინს ედგა სათავეში. იმისათვის, რომ მეფემ არ გამოიყენოს მალალი თანამდებობა პირადი განდიდებისათვის, თორა მას აკრძალვებით ზღუდავს: მას არ უნდა ჰყავდეს ცხენები საჭიროების გარეშე, ანუ ცხენები აუცილებელია ეტლები-სა და არმიისათვის. მას არ შეიძლება ჰყავდეს განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი ცოლი. მას არ შეუძლია დააგროვოს იმაზე მეტი სიმდიდრე, რაც საჭიროა არმიის შესანახად. გარდა ამისა, ის ვალდებულია დანეროს თავისთვის თორის გრაგნილი და 7 წელიწადში ერთხელ, სუქოთის დღესასწაულზე ყველა ებრაელის თანდასწრებით წაიკითხოს ნაწყვეტები წიგნიდან „დვარიმ“. ბედნიერია ის ხალხი, რომელთა მეფეებსაც ასეთი მცნებები აქვთ მაშინ, როცა ისინი ამ მცნებებს ასრულებდნენ. მეფეზე (ისევე როგორც ნებისმიერ ლიდერზე) ხომ ბევრი რამაა დამოკიდებული. ებრაელთა ისტორიაში ხშირად ცოდვილ მეფეებს ხალხიც ცოდვისაკენ მიჰყავდათ, ხოლო წმინდან მეფეებს, პირიქით - თეშუბისა და კეთილი საქმეებისკენ. ასეთები იყვნენ დავითი, შლომო, იეჰოშაფატი და სხვა ებრაელი მეფეები. მაშახი ასევე იქნება მეფე დავითის შთამომავალი. ის ყველა ებრაელს ისრაელის მინაზე მიიყვანს, ააშენებს მესამე ტაძარს და დააბრუნებს ყველას თეშუბაზე. გამჩენმა ქნას, რომ ეს სულ მალე, ჩვენს დროში მოხდეს.

ისრაელი

სტაბისტიური მონაცემები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №13

ისრაელის აგროკულტურის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად ითვლება სათბურების ფართო გამოყენება. ახლანდელ ებრაულ სათბურებს გააჩნიათ ისეთი დამახასიათებლები, როგორცაა მზის დამცავი ფარდები და სითბოს შემნახველი ეკრანები, რომელიც ავტომატურად გადაადგილდება მზის რადიაციის ინტენსივობის გათვალისწინებით. შექმნილია სპეციალური ზედაპირები (ფენა) სათბურებისათვის, რომლებიც აკორექტირებენ შემომავალ სინათლის სპექტრს და მოქმედებენ მცენარეების ზრდაზე. ისინი ფილტრავენ და გარდაქმნიან მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებიდან ინფრარითელში, ფოტოსინთეზის გაზრდით. ახლად დამუშავებული სპეციალური ბადეები განიავებს დროს იცავენ სათბურებს მავნე მწერებისაგან. ეს გამოგონება ამცირებს მწერების მიერ მცენარეებისადმი განუღებ ზარალს და აგრეთვე ამცირებს დამოკიდებულებას ქიმიურ დამუშავებაში. თანამედროვე სათბურის საშუალებით შესაძლებელია ტექნოლოგიური პარამეტრების დიდი ნაწილის მთლიანად მართვა. შედეგი გახლავთ პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვნად გაზრდა. ისრაელელ ფერმერებს საშუალოდ სათბურის ერთი ჰექტარიდან 3 მილიონი ვარდი გამოჰყავთ. და ჰექტარიდან დაახლოებით 300 ტონა ტომატი, რაც 4-ჯერ მეტია ვიდრე ლია გრუნტზე. კიდევ ერთი სახლვ გახლავთ ფიტომონიტორინგი - მცენარის მდგომარეობის კომპლექსური დიაგნოსტიკა, რომლის შემუშავებაში ისრაელი უდავოდ ლიდერია. ფიტომონიტორინგი - მცენარის ზრდის უშუალო და უწყვეტი პროცესის კონტროლია, მიმართუ-

ლი მოსავლიანობის მმართველი ფაქტორების გასაუმჯობესებლად - ხდება განვითარებული სოფლის მეურნეობის მსოფლიო სტანდარტი, რომელიც უახლოეს ათწლეულში შეცვლის მიდგომას თავის სამუშაოსთან. ფიტომონიტორინგი საშუალებას იძლევა ბუნებრივი რესურსების გამოყენების შემცირებას და გარემოს დაცვის უზრუნველყოფისა. ისრაელში ბოსტნეულის მოყვანა გახდა ხელოვნება, დაფუძნებული გიბრიდული თესვების გამოყენებაზე, განოყენება შეთავსებული მორწყვასთან, სპეციალურად მოცემული მცენარის სახეობისათვის სათბურისათვის გადასაფარებლის მასალის შერჩევა, დამუშავების პროგრესული სისტემის გამოყენება და ალტერნატიული მოსავლის შენახვა. ქვეყნის კლიმატურ და ტოპოგრაფიული პირობების ნაირსახეობის გამო, გამოყენება ბოსტნეულის გამოყვანის განსხვავებული ტექნოლოგიები და მეთოდები, წვეთოვანი მორწყვის ჩათვლით, სათბურები კლიმატის მართვის სისტემითა და მცირე მოცულობის ხელოვნურ სუბსტრატზე გამოყვანის საშუალებით. მცირემოცულობიანი ტექნოლოგია აღმოფხვრის ბევრ ნაკლოვანებას, რომელიც დამახასიათებელია ტრადიციული ტექნოლოგიისათვის და ასორციელებს მორწყვის და დამწიფების უფრო მეტ საშუალებას. როგორც მაგალითად, განვიხილოთ ტომატები. ტომატები, რომელიც ლია გრუნტზე მოყავთ, მოსავლიანობას აღწევენ თითქმის 80 ტონამდე ჰექტარიდან, საშუალო მოსავლიანობას სათბურებში კლიმატის მართვის პირობებში: 200-300 ტონა. მსაქმიანური მოსავლიანობა 500 ტონას აღწევს.

ისრაელის სოფლის მეურნეობის წარმოების 17 პროცენტს ბოსტნეული შეადგენს. ისრაელში გამოყვანილია უამრავი ახალი ჯიშის და გიბრიდები, რომელზეც დიდი მოთხოვნაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. უამრავ ჯიშს უხდება დახურულ გრუნტში და ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში გამოყვანა. ისრაელში დარგვის წარმოება - ეს ცალკეული საკმაოდ მსხვილი დარგია. ბოსტნეულის, მწვანეების, ყვავილებისა და სხვა მცენარეთა გამოყვანის უდიდესი ნაწილი, მხოლოდ ნერგი გამოიყვანება კასეტებში, რაც საშუალებას იძლევა მისი დარგვის შემთხვევებში ღია თუ დახურულ გრუნტებში პრაქტიკულად ასპროცენტთან მოსავლიანობას. შედარებით მცირე საერთაშორისო სტანდარტების ზომების მიუხედავად (საშუალო ფერმა დაახლოებით ერთ ჰექტარს იჭერს), ისრაელის საყვავილე სექტორი ძალიან ნაყოფიერი და მალაშემოსავლიანია. ძირითადი ასორტიმენტი (200 სახეობაზე მეტია) ითვალისწინებს ვარდების, მიხაკების გიჰსოფილუს, სოლიდაგოს, გერბერგის, ანემონების, ლიმონისა და დეკორატიულ მცენარეების, მთლიანად ყვავილების პროდუქციის 50 პროცენტზე გამოყვანა მოწინავე, ავტომატიზირებულ სათბურებში, ხოლო დაახლოებით 12 პროცენტი გამოყვანილია ბადის ქვეშ. უდიდესი ყურადღება ექცევა ახალი ნაირსახეობის აკლიმატიზაციას, განსაკუთრებით ისეთების, რომელთაც ექსპორტის პოტენციალი გააჩნია. ეს მიმართულება ითვალისწინებს ასე ვთქვათ, „ზაფხულის ყვავილები ევროპისათვის“, ზამთარში გამოყვანის და ევროპაში ექსპორტს.

გაგრძელება იქნება

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია

8 აგვისტოს თბილისის ებრაულ სახლში გაიმართა ებრაული საზოგადოებრიობის ერთი ჯგუფის შეკრება. შეკრების ინიციატორი გახლდათ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „საქართველოს ებრაელთა კავშირ-შალომის“ საინიციატივო ჯგუფი.

საინიციატივო ჯგუფი უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს ამ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდების პროექტზე. პროექტი ორიოდ თვის წინათ დაურეგდა ორივე სალოცავის ჯამაათს, რათა გასცნობოდნენ და საინიციატივო ჯგუფისათვის მოეწოდებინათ თავთავიანთი მოსაზრებები.

შეკრება მიჰყავდა ბ-ნ **მერაბ ჩანჩალაშვილს**, რომელიც გახლავთ საინიციატივო ჯგუფის წევრი, მან აღნიშნა, რომ „შალომის“ მიზანია „საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სულიერი და მატერიალური თანადგომა, ებრაელთა რელიგიური წესების შესრულება-დამკვიდრება, ეროვნულ-რელიგიური სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა“ და სხვ. მრავალი. უმთავრესს კი დასაწყისშივე გაუსვა ხაზი: ქართველ ებრაელთა ბევრს ქნესეთს ძალიან ბევრი მოუგვარებელი პრობლემა აქვს, წლების განმავლობაში არაფერი გაკეთებულა და ზოგი მათგანი დაუყოვნებლივ მოითხოვს გადაჭრას.

გამოითქვა მოსაზრებები, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, მაგრამ უმეტესწილად საყურადღებო, ანგარიშგასაწევი, რაც საინიციატივო ჯგუფს უთუოდ წაადგება თავისთავად კარგად შედგენილი წესდების პროექტის სრულყოფაში.

და მთავარი: როცა შეკრების ხელმძღვანელმა კენჭის საყრელად დასვა საკითხი, თუ რამდენად საჭიროა ასეთი ორგანიზაციის შექმნა და შეიქმნას იგი თუ არა, საკითხი თითქმის ერთხმად გადაწყდა დადებითად.

„მენორას“ რედაქცია მიიჩნევს, რომ საინიციატივო ჯგუფმა სანაქებო საქმე წამოიწყო და მხარს უჭერს ასეთი ორგანიზაციის შექმნას, თუმცა, ანგარიშგასაწევი ის გარემოება, რომ ანალოგიური დასახელების ორგანიზაცია უკვე არსებობს (იმ კავშირის თავმჯდომარემ მესენჯერმა კი ისეთ ბინძურ წერილს მოაწერა ხელი, თავადვე გაუკეთა დისკრედიტაცია ორგანიზაციას) ამიტომ უნდა გაგრძელდეს ფიქრი სახელწოდებაზე („კავშირი—საქართველოს ებრაელობა“?), კომისია, ალბათ, იმაზეც იფიქრებს, თუ ვისგან უნდა შესდგებოდეს კავშირი—საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, თუ ინდივიდთაგან. შეიქმნა კომისია, რომელიც გააგრძელებს მუშაობას წესდების პროექტზე. კომისიაში შევიდნენ: **ბორის თეიმურაზიშვილი, თამაზ ჭურჭიაშვილი, ბანო ელიშაბაძე, მერაბ ჩანჩალაშვილი.**

ვერდს ვერ ავუვლით შეკრებაზე ერთ-ერთი ორატორის განცხადებას: ჩვენ აქ კამათი გვექნება, იქნებ, ერთმანეთს ცუდი რამეებიც ვაკადროთ (!) ამიტომ ამ შეკრების თაობაზე გაზეთში არაფერი არ უნდა დაიბეჭდოსო. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მავანი და მავანი ცდილობს ცენზურა დაანეროს იმაზე, თუ რა უნდა დაიბეჭდოს გაზეთში და რა — არა.

ამგვარ ორატორთა საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ: მიიხედ-მოიხედეთ, ბატონებო, რომელ დროში ცხოვრობთ? თორის მცნებებზე შედაპირული აპელირება არ გაძლევთ უფლებას დაანერსოთ თქვენი ცენზურა, „მენორა“ ასეთი ორატორების მცდელობას — დააკნინოთ გაზეთის როლი და ადგილი, მიუღებლად მიიჩნევს. გაზეთისთვის მთავარია არა ის, ვინ ვის რას გადაუჩურჩულებს და რაგვარ მანევრირებას ეწევა, არამედ საქართველოს კანონი პრესის შესახებ. გაზეთმა უნდა გამოხატოს არსებული მდგომარეობა, მკითხველს და მომავალს გააცნოს ვის რა და როგორ უკეთებია და აკეთებს — როგორ იღწვის ჯამაათის სასარგებლოდ. თუ ზოგიერთს არ ძალუძს საზოგადოებრივ შეკრებებზე თავშეკავება, ეს მათი პრობლემაა. ესეც გვინახავს და არც მომავალში დავტოვებთ უყურადღებოდ.

ამჯერად, 8 აგვისტოს შეკრებაზე კი, როგორც იტყვიან, „ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო“.

ებრაული აულთარულ-საგანმანათლებლო ფონდი

საბავშვო ჯგუფი „შალომ სუბამი“ აცხადებს 3,5 წლის ასაკიდან ბავშვების მიღებას 2010-2011 სასწავლო წლისათვის

ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლაგარეშე და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების უახლეს ისრაელურ მეთოდებს.

პროგრამაში:

- ებრაული ალფბეტი (რალიფონისა და ბრალიფონის საფუძვლები)
- მუსიკა
- სიმღერა
- ცეხვა
- ივრითი
- ინგლისური ენა
- აქსაუსიები
- საბავშვო სპექტაკლები და გასართობი ღონისძიებები და სწავლება
- საგანმანათლებლო პროგრამა „თორა და თანამედროვეობა“ - საბავშვო ჯგუფის ალფაბეტული მშობლებისათვის.

საბავშვო ჯგუფი მუშაობს ყოველდღე (შაბათის და ჯირის გარდა) 11:00-დან 17:00 საათამდე.

ჯამთრის პერიოდში მუშაობა თბავს. გათვალისწინებულია ჯიბა.

ცნობებისათვის მიმართეთ: ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ. საკონტაქტო ტელეფონები: 775201 (ლაბაბ.106), 770653, 775201(ლაბაბ. 230)

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ებრაელები

ამ სიაში 24-ე ადგილზე აღმოჩნდა ევროპის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ვი-აჩესლავ კანტორი. მან გაუსწრო მსოფლიო ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტს როლანდ ლაუდერს, ნობელის პრემიის ლაურეატს ელი ვიზელს, ამერიკელ სენატორს ჯოზეფ ლიბერმანს და რუსეთის მენარმეს, საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ პატრონს რომან აბრამოვიჩს.


რეიტინგის შემდგენელები მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევენ იმას, თუ პიროვნებები რაოდენ ზეგავლენას ახდენენ მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე, რამდენად ფლობენ ურთიერთობას ხელისუფლებასთან.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი 50 ებრაელის სიაში მოხვდნენ ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლები. ასევე გამოჩენილი პიროვნებანი, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა იქონიეს ისრაელის განვითარებაზე, მსოფლიოს ებრაელობაზე და

მშვიდობის დამყარებაზე. ამიტომ რეიტინგში მოხვდნენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ბანკირები, რაბინები, მუსიკოსები, რეჟისორები, მხატვრები, სპორტსმენები.

თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი ებრაელი მიჩნეულ იქნა, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინამინ ნეთანიაჰუ. ამასთან დაკავშირებით ბინამინ ნეთანიაჰუმ „ჯერუსალიმ პოსტის“ ჟურნალისტს უთხრა: „ის ფაქტი, რომ დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ყველაზე გავლენიანი ებრაელი იქნა მიჩნეული, ადასტურებს ებრაელი ხალხის მსოფლმხედველობასა და განვითარებაზე რაოდენ დიდი ზემოქმედება აქვს სიონიზმს“.

გავლენიანი ებრაელი სიაში აგრეთვე შევიდნენ აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაური ბენ ბერნანკე, ოგლეის დამფუძნებელი სერგეი ბრინი, ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი, ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი და სხვა.



ქ. თბილისის ებრაელ ქალთა ჯგუფის „მანდილოსანთა საგანძური“ - „გინზეი ჰანაშიმ“-ის ქალბატონები მორა ჟუჟუნას (სიმხა გაზნელი-მდინარაძე) ხელმძღვანელობით ღრმა გულისტკივილს გამოვთქვამთ რაია და იაშა წინუაშვილების ვაჟის — **მურაზ ჟიჟუაშვილის** უდროოდ გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს რაია და იაშა წინუაშვილებს შვილის — **მურაზის** გარდაცვალების გამო.